პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური კარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

13 თებერვალი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 37 (14947)

# დამკვრელური შრომის ფესტივალი

## თბილისი

ლენინის ორდენოსანი თბილგვირაბმშენის (უფროსი ვ. გოცირიძე) კოლექტივმა შარშან მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ზედიზედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა. გვირაბმშენებლებმა მეცხრე ხუთწლედში კიდევ უფრო გააძლიერეს შრომის ტემპი. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა იანვრის დავალება 106,1 პროცენტით გაანაღდეს, მათ შორის საკუთარი ძალებით 106,7 პროცენტით.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ № 212 და № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლების კოლექტივები. პირველმა გასული თვის გეგმა 124,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ — 104,8 პროცენტით.

გასული წლის მეოთხე კვარტალში მიღწეული მაჩვენებლებით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის (დირექტორი გ. ყანჩაველი) კოლექტივი, რომელმაც პირველი ფულადი პრემია და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

მეთამბაქოეების შრომას მეტი ენთუზიაზმი ეტყობა ახალ წელს. მოპოვებულია პირველი წარმატება — იანვრის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, დაზოგილია დიდძალი ნედლეული, დამხმარე მასალა, ელექტრო და თბოენერგია.

ისევე როგორც შარშან, სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არ თმობენ კომუნისტური შრომის დამკვრელები მემანქანეები ზ. ჩუმაშვილი, შ. სვანელი, გ. ლევაშოვი, ი. ფარესაშვილი, ი. მალიშევი, ლ. ლატარია, ა. დოსოიანი, შ. მაჩაიძე. ისინი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 115 პროცენტით ასრულებენ.

## რუსთავი

სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ახალი წარმატება მოიპოვეს ქართველმა მეტალურგებმა. ღგან „900“-ის ცვლის კოლექტივმა, რომელსაც დ. პაპუაშვილი ხელმძღვანელობს, 8 თებერვალს გეგმის გადამეტებით 835 ტონა ლითონი გაგლინა. ეს სარეკორდო მაჩვენებელია სამამოლო მეტალურგიაში.

მეტალურგთა ამ ახალ წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ოსტატმა ზ. მღვდლიაშვილმა, გამხურებელმა მ. ოთინაშვილმა, უფროსმა ოპერატორმა ა. გზირიშვილმა და სხვებმა.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებია მოპოვებული საგლინავი სამაქროს სხვა უბნებზეც. მარტო თებერვლის 8 დღეში გეგმის გადამეტებით გაგლინულია 3200 ტონა პროდუქცია. (საკ. კორ.).

## ჟუთაისი

მინის ტარის ქარხნის კოლექტივი ახალ წარმატებებს აღწევს წინასაყრილობო შეჯიბრებაში. საწარმომ ყველა მაჩვენებელით გადააჭარბა იანვრის დავალებას. რესპუბლიკის საკონსერვო ქარხნებს გეგმის გადამეტებით გაეგზავნა 220 ათასი ცალი მინის ქილა, ხოლო მოსახლეობას — ათასობით მანეთის ბროლის ნაწარმი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე საადგილო ჭურჭლისა და მუყაოს ყუთების გამოშვების დავალება.

ქარხნის კოლექტივმა იანვარში გეგმით გათვალისწინებული 410 ათასი მანეთის ნაცვლად 426 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინა. (საკ. კორ.).

# რესპუბლიკის საზელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საგეგმო ორგანოების მუშაკთა საზეიმო კრების მონაწილეებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საგეგმო ორგანოების 50 წლისთავთან დაკავშირებულ ამ ღირსსახსოვარ თარიღს.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ორგანიზატორმა და სოციალისტური დაგეგმვის იდეების ინიციატორმა ვ. ი. ლენინმა მოგვცა სოციალისტური ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის ძირეული პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტა. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გენიალური ლენინური იდეები კომუნისტურმა პარტიამ საფუძვლად დაუდო ცნობილ გოელროს გეგმასა და ხუთწლიან გეგმებს, რომელთა წარმატებით განხორციელებამ უზრუნველყო ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპები და ჩვენი ქვეყანა მოკლე ხანში გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

საბჭოთა ქვეყნის მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილი გზა გვიჩვენებს, თუ როგორ მიჰყავს წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების ბაზაზე სოციალისტურ სახელმწიფოს საბჭოთა საზოგადოება სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ სახალხო-სამეურნეო გეგმების მეშვეობით, რომლებიც ეკონომიურ კანონთა მოთხოვნებს ასახავენ.

სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ ოჯახში სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა საქართველომაც. მიღწეულია დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საგეგმო ორგანოების მუშაკებს, რომლებიც ახორციელებენ სოციალისტური დაგეგმვის ლენინურ პრინციპებს.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დაგეგმვის სწორად დაყენებასა და მისი მეთოდების სრულყოფას, მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების ყველა ნაწილის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური დასაბუთების ამაღლებას. პარტიის მითითებათა თანმიმდევრული და განუხრელი განხორციელება მთელი ჩვენი საგეგმო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობის საწინდარია.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საგეგმო ორგანოების 50 წლისთავი აღინიშნება სკკპ XXIV ყრილობის წინ, რომელიც დასახავს საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ახალ პერსპექტივებს. პარტია, მთელი ჩვენი ხალხი ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ XXIV ყრილობას ახალი მიღწევებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დღითიდღე სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ყრილობის აღსანიშნავად, ძლიერდება მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საგეგმო ორგანოების მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## მოგილოცავთ მეგობრებო!

### გრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ორდენებით ჩარხსამშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოდეს:

**თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა** — თუჯისა და ფოლადის სხმულის წარმოების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ათვისებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.

### გრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ორდენებით ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის საწარმოთა და ორგანიზაციათა დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: „სპატიო ნიშნის“ ორდენებით დაჯილდოდეს:

ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზების მშენებლობისა და ელექტროსადგურების და ქვესადგურების მონტაჟის სახელმწიფო საკავშირო ტრესტი „კაველექტრომშენი“ — ტრესტის კოლექტივის მიერ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და ელექტროტექნიკური მოწყობილობის მონტაჟის ტექნოლოგიის სრულყოფისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.

# მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო სამსახურის ფლაგმანი

12 თებერვალს ამხანაგები ვ. პ. მეკავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ბ. ს. ძოწენიძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, შ. დ. კიკნაძე, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი ეწვივნენ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უდიდეს თბილისის საყოფაცხოვრებო სახლს „პირიმზეს“.

მისისა და ბეტონის, თანამედროვე არქიტექტურული ფორმის უზარმაზარი შენობა აღიმართა საქართველოს დედაქალაქის კოლმეურნეობის მოედანზე შინამრეწველური სახელოსნოებისა და ძველი შენობების ადგილას.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს საწარმო, გაეცნენ მისი მუშაობის სპეციფიკას, მომსახურებას, რომელსაც გაუწევენ მოსახლეობას, მოქალაქეთა ორგანიზებული მიღებისა და კულტურული მომსახურების პირობებს, დაესწრნენ ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ქუდების ახალი მოდელების დემონსტრაციას.

ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ამხ. შ. დ. დუშბაძე, დარგის ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შანილ პაპალუა-ძე მძაფანაძემ დადებითად შეაფასა გაწეული მუშაობა, მოუწოდა კოლექტივს მუშაობის პირველი დღეებიდანვე გაუფრთხილდეს საწარმოს ღირსებას, ყველაფერი იღონოს, რომ ხალხი კმაყოფილი იყოს მომსახურებით.

საყოფაცხოვრებო სახლი „პირიმზე“ ბევრ სხვადასხვა მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას. ქვესი სართულიდან თითოეული სართული (გარდა ამისა სარდაფში განლაგდება ცენტრალური საწყობი, შხაპები, სასწრაფო ჩიმწმენდა) სპეციალიზებულია, პირველ სართულზე არის საგამოფენო დარბაზი. ახლა აქ შეგიძლიათ ნახოთ ქალის, მამაკაცის, ბავშვის ფეხსაცმლის, ტანსაცმლის ნიმუშები და ტრიკოტაჟი, ჭედურობა და სხვადასხვა სუვენირი. გამოფენილია საქართველოს სსრ. მოსახლეობის საყოფაცხოვრიო მომსახურების სამინისტროს საწარმოებში დამზადებული ავეჯი. მომავალში სალონში მუდმივად იქნება გამოფენილი საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა მიერ გამოშვებული ნაწარმი. ყველაფერი, რაც. მოწონებათ დამთვალიერებლებს, შეეძლებათ აქვე შეუკვეთონ. „პირიმზეს“ მუშაკები პირობას იძლევიან, რომ საგამოფენო დარბაზში გამოფენილი იქნება მხოლოდ ის პროდუქცია, რომლის მიღებას შეძლებს ყოველი ადამიანი უმოკლეს ვადაში.

მეორე სართულზე განლაგებულია ფოტოსალონი. აქ მომუშავე მაღალ კვალიფიციური სპეციალისტები არა თუ ჩინებულ სურათს გადაგიღებენ, შეგაფასებენ მოწყობილ ატელიეში, არამედ თქვენი გამოძახებითაც შინაც გეწვევიან. სალონის მუშაკები მოემსახურებიან აგრეთვე ტურისტებს, კინო და ფოტოსაქმის შესაწავლიან მოყვარულთა. ხმის ჩაწერის სალონში შეგიძლიათ შეუკვეთოთ მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი საყვარელი მელოდია. შეგიძლიათ ფირიდან გადაიწეროთ კიდეც ნებისმიერი მუსიკა თუ ტექსტი, აგრეთვე აქვე სტუდიაში შესრულებული სიმღერა.

სალონის პირდაპირ არის მცირეგაბარიტიანი საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი დიდი სახელოსნო.

მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულებზე განლაგებულია ქალის, მამაკაცისა და ბავშვის მოდების ატელიეები, სპარიკმახერობები, კოსმეტიკის კაბინეტები, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის შესაკერი სახელოსნოები. უკანასკნელ, მეექვსე სართულზე განლაგებულია ტანსაცმლის მოდელების საგამოფენო დარბაზი.

ოთახები, რომელთა საერთო ფართობი 4.500 კვადრატულ მეტრს შეადგენს, საუკეთოდაა გაფორმებული. საყოფაცხოვრებო სახლი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობით. „პირიმზეში“ მუშაობს „კეთილმომსახურების“ 400-ზე მეტი კვალიფიციური ოსტატი, უახლოეს მომავალში კი მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. (საქდესი).

## სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ჩვენი ქვეყნის საგეგმო ორგანოების 50 წლისთავი

# სახელოვანი გზა

## საზეიმო კრება თბილისში

შესრულდა 50 წელი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ჩვენი ქვეყნის საგეგმო ორგანოების დაარსების დღიდან. ნახევარი საუკუნის წინათ მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა, საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის, როგორც მუდმივადმოქმედი ორგანოს შექმნის შესახებ. ვ. ი. ლენინმა, სახელმწიფოს სოციალისტური დაგეგმვის ორგანიზატორმა და ინიციატორმა, მეცნიერულად გადაწყვიტა სოციალისტური ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრობლემები. პირველად მსოფლიოში შეიმუშავა სოციალისტური დაგეგმვის ძირითადი დებულებანი, მისი მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის პრინციპები, რომლებიც დღესაც მთავარია საგეგმო ორგანოების საქმიანობაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ქვეყნის საგეგმო ორგანოების სახელოვან ნახევარსაუკუნოვან გზას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზეიმო კრება, რომელიც 12 თებერვალს კიბარეთა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სამრეწველო საწარმოების მოწინავენი, რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების მუშაკები, ზეიმში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარმომადგენლები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ვ. პ. მეკავანაძე, ზ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, შ. დ. კიკნაძე, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ს. კ. ცვეტკოვიჩი.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ვ. ბუხრაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. შ. ცხაკაიამ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების ყველა მუშაკისადმი.

მოხსენება 50 წლის მანძილზე ქვეყნის საგეგმო ორგანოების მიერ გავლილი გზის შესახებ გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ძ. ჯაფარიძემ.

სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ადგილობრივი საგეგმო ორგანოების შექმნის პირველი დღეებიდანვე, — თქვა მომხსენებელმა, — მათ პრაქტიკულ საქმიანობას ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია. ვ. ი. ლენინი გეგმას ახასიათებდა, როგორც სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენელობის პროგრამის კონკრეტულ განსახიერებას. დიდი ბელადი გვასწავლიდა: სოციალიზმი ნიშნავს საზოგადოებრივ-საწარმოო პროცესის გეგმაზომიერ ორგანიზაციას „საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფისათვის“. სოციალისტური შეჯიბრების პროცესში მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის საბჭოთა სისტემა, რომელიც შექმნეს ვ. ი. ლენინმა და კომუნისტურმა პარტიამ, ყოველდღიურად ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა.

სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა ახალ საფეხურზე ავიდა ქვეყნის მრეწველობის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში, პირველი ხუთწლედების პერიოდში. განსაკუთრებით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საგეგმო ორგანოები დიდი სამამულო ომისა და დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში.

მტერზე ისტორიული გამარჯვების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ძიღიო კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. პარტიის XIX და XX ყრილობებზე დაამტკიცეს მომდევნო ხუთწლიანი გეგმები, სოლო სკკპ XXI ყრილობამ ძიღო დადგენილება სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXIII ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივები. ამ გეგმაში დასახული იყო ჩვენს ქვეყანაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ღონისძიებანი. ამ გეგმის დავალებებს საფუძვლად ჰქონდა სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნები, სამრეწველო რესურსებისა და რეზერვების ობიექტური შეფასება და სახავდნენ სახალხო მეურნეობის ყველაზე ეფექტიანი განვითარების გზებს.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა მუდმივმოქმედი ორგანო — საგეგმო კომისია, რომელიც ამუშავებდა წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს, დიდმნიშვნელოვან პროექტებს, აკუშავებდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემებს.

საქართველოს სოციალისტური ეკონომიკის გარდაქმნის გეგმებში ადასტურებს ვ. ი. ლენინის ცნობილი წერილი „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“, რომელშიც იგი წერდა: „ერთბაშად ეცადეთ გაუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

საქართველოს საგეგმო კომისიამ სპეციალურად შეისწავლა რესპუბლიკაში მრეწველობის დაჩქარებული განვითარების, მეგაღლეობისა და სხვა საკითხები და დასვა ისინი ზემდგომ ორგანოებში. საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული წინადადებანი შავი მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მუსახებ საფუძვლად დაედო პარტიის XVIII ყრილობაზე ამ საკითხთა განხილვას.

მიმდინარე საკითხებთან ერთად მზადდებოდა წინადადებანიც ხანგრძლივი პერიოდისათვის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების შესახებ. მაგალითად, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების გამოყენება ნავთობის ექსპორტისათვის, კუორტების მშენებლობა და ტურიზმის განვითარება.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწია სახალხო მეურნეობის გეგმების შემუშავების საქმეში. ამ გეგმების შესრულებამ რესპუბლიკაში შექმნა თანამედროვე ეკონომიური პოტენციალი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ მოკავშირე რესპუბლიკების ძმურ ოჯახში დიდი და შესანიშნავი გზა განვლო. იგი გადაიქცა დიდადგანვითარებული მრეწველობისა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად.

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე ეკონომისტთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინერ-ეკონომისტი თ. ჯინჯიხაშვილი, ამავე ინსტიტუტის ეკონომისტი ც. კიკილაშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი ლ. ვარამაშვილი, ამავე კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე, ეკონომისტი ა. შვანია, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ეკონომისტი ლ. კურცხალია, ამავე ინსტიტუტის ეკონომისტი დ. ფყონია და ინჟინერ-ეკონომისტი ბ. ბასილაშვილი.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲨᲘ

# შრომითი ფლის სტარტზე

**როგორც** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის იანვრის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 6,9 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო წარმოება — 9,6 პროცენტით (1971 წლის იანვარში იყო ერთი სამუშაო დღით ნაკლები, ვიდრე შარშან იანვარში). შრომის ნაყოფიერება გადიდდა 5,5 პროცენტით.

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის იანვრის გეგმა შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და სამინისტრომ, გარდა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის, მშენებლობის, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროებისა, რომლებმაც გეგმა მთლიანად ვერ შეასრულეს.

მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების იანვრის გეგმის შესრულებისას, აღნიშნულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცხობაში, ცალკეულმა სამინისტროებმა ვერ შეასრულეს მისი ზოგიერთი სახეობის, კერძოდ, საქსოვი დაზგების, თბომავლების, სატვირთო ვაგონების, ექსკავატორების, სამასალე შერჩნის, ბამბის, შალისა და სელის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლის, საკვები თევზის პროდუქციის გამოშვების გეგმა.

მნიშვნელოვანი ზრდაა მიღწეული მინერალური სასუქების, გოგირდმჟავას, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების, ქიმიური ბოჭკოების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების, ავტომობილების, ცემენტის, რადიომიმღებებისა და რადიოლამპების, შაქრის ფხვნილის, მცენარეული ზეთისა და მთელ რიგ სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებაში. (საკდესი).

## მოლდავეთის ენერგეტიკა

ᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡᲘ. მოლდავეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის სასელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურში დაიწყო 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის მერვე ენერგობლოკის დამონტაჟება. მშენებლებმა და მონტაჟიორებმა გადაწყვიტეს ახალი აგრეგატი ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ.

ამჟამად რესპუბლიკა დღეღამეში იძლევა თითქმის ერთთორად მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე მთელ 1940 წელს. უახლოეს წლებში გათვალისწინებულია მოლდავეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის შემდგომი გაფართოება და მისი სიმძლავრის ორ მილიონ კილოვატამდე გაზრდა. (საკდესი).

## ᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ „ᲛᲝᲬᲕᲐᲜᲐ ᲤᲐᲠᲘ“

**ᲑᲐᲙᲘ,** 11 თებერვალი. (საკდესის კორ. ბ. დამიხოვი). აზერბაიჯანის ველის რაიონებში დაიწყო ტყის გაკეხვის სეზონი. მიხდორსაცავი ტყის ზოლების პირველი ასობით ჰექტარი გაშენდა ეუკალინის, მილის, სამეურ-დიეფინისა და ყარაბაღის ველებში. წლის გათვალისწინებულია მწვანე ხარგავები გაშენდეს 4.500 ჰექტარზე. ეს ერთიორად მეტია, ვიდრე ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში გაშენდა.

## საკავშირო გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია

**სსრ** კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მუშების, მოსამსახურეებისა და დამზადების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1970 წლის მეორე ნახევრის შედეგები. დაჯილდოებულთა შორის არის **საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი „გრუზგიპროვოდხოზი“.**

ამ ინსტიტუტის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მუშების, მოსამსახურეებისა და დამზადების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის **გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.**

## „ᲚᲣᲜᲐ-1“: ᲒᲐᲕᲚᲘᲚᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ

**ᲛᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡᲐᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲐᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ,** 12 თებერვალი. (საკდესი). 10 და 11 თებერვალს მოეწყო მთვარემავალთან კავშირგაბმულობის მორიგი სეანსები. ავტომატურმა აპარატმა გაიარა 509 მეტრი და იმყოფება დაახლოებით ერთ კილომეტრზე „ლუნა-17“ სადგურის დასაჯდომი საფეხურის ჩრდილოეთით. სულ მთვარის ზედაპირზე ჰქონია ფუნქციონირების დროს მთვარემავალმა გაიარა 4.818 მეტრი.

12-15 თებერვალს წვიმების ზღვის ჰორიზონტზე მზის მაღალი მდებარეობისა და მთვარის ზედაპირის სატელევიზიო გამოსახულებათა ხუსტი კონტრასტულობის გამო დაგეგმილი არ არის თვითმავალი აპარატის მოძრაობა. ამ დროს გაგრძელდება სამეცნიერო გაზომვები და მთვარემავლიდან ტელემეტრიული ინფორმაციის მიღება.

# სახელოვანი გზა

(დასასრული)

ლენინის მოძღვრებას წითელ ზოლად გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ ქვეყნის ერთიანი სამეურნეო გეგმისა და ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების დროს საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ეროვნული რესპუბლიკების ადგილობრივი პირობები. სწორედ ამას უსვამდა ხაზს დიდი ლენინი, როცა წერდა, რომ საჭიროა „...ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეივნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რუსეთის სფსრ მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრძადგი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას". ლენინის ეს პრინციპები სახელმძღვანელოა და ისინი საქმით ხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა მასშტაბისა და ტემპის ზრდას დამაჯერებლად მოწმობენ ციფრები: რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1970 წელს 1913 წელთან შედარებით 80-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1940 წელთან შედარებით — 8-ჯერ. მარტო 1940-დან 1970 წლამდე ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 11,2-ჯერ, ქვანახშირის მოპოვება —3,7-ჯერ, ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება — 4,3-ჯერ. ცემენტის წარმოება — 11,6-ჯერ, კონსერვებისა — 7,2-ჯერ, ყურძნის ღვინოებისა — 3,2-ჯერ. ჩაის პირველადი გადამუშავება — 5,1-ჯერ და სხვა.

საქართველოს მეორე ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მანგანუმის მოპოვების მხრივ. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებით იგი ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანას უსწრებს. ახლა ჩვენი რესპუბლიკა უმავებს ერთიორად მეტ ლითონსაჭრელ ჩარხებს, ვიდრე მთელი რუსეთი უშვებდა 1913 წელს. ჩვენ ვადნობთ უფრო მეტ ფოლადს, ვიდრე თურქეთი და ნორვეგია ერთად. ერთ სულ მოსახლეზე ვაწარმოებთ იმდენივე ცემენტს, რამდენსაც ინგლისი, ერთ სულ მოსახლეზე თუჯისა და ფოლადის გამოშვებით ჩვენი რესპუბლიკა ბევრად უსწრებს ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიცაა იტალია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის მეორე ლენინის ორდენის გადაცემის დროს თქვა: „საბჭოთა საქართველოს შესანიშნავი წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში საქმით დასტურებენ ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს დიდ ძალას, სოციალიზმის დაუშრეტელ შესაძლებლობებს!

კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მერვე ხუთწლედში. ყველა დარგის განვითარების მთავარმა შედეგებმა გავლენა მოახდინეს ეროვნული შემოსავლის მოცულობაზე, რომელიც წინა ხუთწლედებთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა, მნიშვნელოვანი წარმატებანია მიღწეული სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, საქონელბრუნვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში. ეს წარმატებანი განაპირობეს დაგეგმვის გაუმჯობესებამ, რესპუბლიკის მრეწველობაში სამეურნეო რეფორმის გეგმაზომიერმა განხორციელებამ.

რეფორმამ აამოქმედა მრეწველობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ბევრი რეზერვი. ამაღლდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, უფრო სრულად და უკეთ იყენებენ საწარმოო ფონდებსა და ნედლეულის რესურსებს. ყოველივე ამან სერიოზული გავლენა მოახდინა დანაკარგების შემცირებაზე, მოგების გადიდებაზე, აამაღლა მშრომელთა მატერიალური უშრუნველყოფის დონე.

ხუთწლიანი გეგმების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის სწრაფი ტემპით შემდგომი განვითარებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვა. ამასთან დაკავშირებით აქტუალური ამოცანაა გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ახლა ადგენენ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგნოზს ხანგრძლივი პერიოდისათვის (10-15 და მეტი წლებისათვის) სახალხო მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან პრობლემებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის დეკემბრის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო დაგეგმვის სწორად დაყენებას, გეგმების შედგენისას ნაკოოდინაციის ლიკვიდაციას, მათი შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

პარტია საგეგმო ორგანოებისაგან მოითხოვს თვითეული დავალების ღრმა მეცნიერულ დასაბუთებასა და კონკრეტულობას. ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდებისა და თანამედროვე გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენება დაგეგმვაში შესაძლებლობას გვაძლევს გადავაკეთოთ დაგეგმვის თეორია და სახალხო მეურნეობის გეგმების შედგენის მეთოდოლოგია ზუსტ მეცნიერებად.

ახლა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მისი ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გამოთვლითი ცენტრი ერთობლივად ამუშავებენ მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც ეკონომიურ ანალიზსა და დაგეგმვაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებას შეეხებიან. მიმდინარეობს მუშაობა გეგმიანი გაანგარიშების ავტომატური სისტემის შესაქმნელად.

საქართველოს მშრომელები ემზადებიან მმობლიური კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მაღე ისინი ზეიმით აღნიშნავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს სსრ კავშირის შემადგენლობაში მიღების 50 წლისთავს. ამ ღირსსასოვარი მოვლენებისათვის მზადება აღაფრთოვანებს მთელ ქართველ ხალხს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, თქვა დასასრულ ამბ. ე. ჯაფარიძემ, ყოველდღიურად ეხმარებიან რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებს, ზრუნავენ მათს მუშაკებზე, უქმნიან შემოქმედებითი შრომის პირობებს. ამის დადასტურებაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საგეგმო ორგანოების მუშაკთა ჯგუფის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ, მათთვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტისა და დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ამხ. ე. ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს საგეგმო ორგანოების მუშაკთა საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის. პარტიამ და მთავრობამ საგეგმო ორგანოების მუშაკებს მეტად პასუხსაგები და დიდმნიშვნელოვანი საქმე მიანდვეს. ყველა საგეგმო მუშაკის ღირსების საქმეა გაამართლონ ეს ნდობა, სოციალისტური დაგეგმვის თანამედროვე ამოცანების დონეზე წარმართონ მუშაობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახელით - რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების მუშაკებს მიესალმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიის წევრი ნ. ნ. ინოზემცევი, რომელმაც წაიკითხა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მისალმება.

საზეიმო კრება დასურულად ცხადდება. ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქდესი).

# ᲭᲘᲠᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲡ

**მოხისის** კოლმეურნეობის საერთო კრება ვიწრო, ძველ შენობაში მიმდინარეობდა. კრებაზე მოსულ კოლმეურნეებს უამაყოფილებდა ეერი გადაჰკრავდა სახეზე და უინტერესოდ ისმენდნენ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის გ. ლობეანიძის საანგარიშო მოხსენებას.

— დღევანდელი ჩვენი საანგარიშო კრება — ამბობდა მომხსენებელი, — ემთხვევა მერვე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. მოხისელები არ ზოგავდნენ ძალასა და ენერგიას მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. ამიტომაც გასულ ხუთწლედში მაღალ წარმატებებს მივაღწიეთ ჩაქრის ჯარზლის, ხილის, ბოსტნეულის, მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში.

— უმჯობესია შარშანდელზე ვილაპარაკოთ, — წამოიძახა ვიღაცამ და კოლმეურნეებიც ახმაურდნენ. თავმჯდომარე ერთხანს გაჩუმდა, სახეზე სიფითლემ გადაუარა და მერე განაგრძო:

— მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი მეცხოველეობა კვლავ რჩება არარენტაბელურ დარგად. თითქმის მესამე წელია, რაც ვერ ვასრულებთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობისა და პროდუქციის წარმოების გეგმებს...

მოხსენებიდან ვგებულობთ, რომ ამ კოლმეურნეობაში სამი სოფელია გაერთიანებული. ამათგან გასულ სამეურნეო წელს საკოლმეურნეო შრომაში ბევრმა ისახელა თავი. საერთო კრებაზე ქება დაიმსახურეს მექანიზატორებმა გ. რევაზაშვილმა, მ. გელაშვილმა, ლ. ციცქიშვილმა, გ. ზეკალაშვილმა, შ. ციცქიშვილმა, გ. ნაკაშიძემ, შ. მაისურაძემ, ს. ციცქიშვილმა. მოწინავე მექანიზატორთა შორის სხვებიც დაასახელეს. ისიც აღინიშნა, რომ ხვნის დროს ერთ ჰექტარზე მათ დახარჯეს 13,7 კილოგრამი საწვავი ნაცვლად 15 კილოგრამისა. მიუხედავად ამისა, წინა წელთან შედარებით 0,66 კაპიკით გაძვირებულია ჰექტარი მიწის ხვნის ღირებულება.

მომხსენებელი თანდათან უახლოვდება ადრინდელი რეპლიკის პასუხს. — გასულ წელს, — ამბობს იგი, — 465 ჰექტარზე გვეთესა თავთავიანი კულტურები, მაგრამ მოსავალი მხოლოდ 305 ჰექტარზე - ავიღეთ, 160 ჰექტარი დაზიანდა და საქონელს გავაძოვებინეთ. მარცვლეულიდან ზარალი 6.560 მანეთი იყო.

ასეთივე ცუდი მაჩვენებლებით აღინიშნა შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, ყურძნის, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მოყვანისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შესრულების გეგმები. გამოირკვა, რომ მთელმა ერთად აღებულმა ზარალმა გასულ სამეურნეო წელს 38.317 მანეთი შეადგინა. ამ ციფრის მოსმენა, რა თქმა უნდა, არავის არ ესიამოვნა, მაგრამ ასეთ ფაქტებზე თავიანთ დროზე — ესენი დველებიც თითონ იყვნენ და გამყოველებულ ... [illegible] ... ორი-ოდე წლის წინ იყო.

როცა მომხსენებელი სოფლის კეთილმოწყობის საქმეს შეეხო, ხათელი გახდა, რომ აქ შექმნილი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე კოლწევრის გაზრდილ მოთხოვნილებას. არაფერი არ კეთდება სოფლის ახალგაზრდობისათვის. აქ მწვავედ განიცდიან საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების ობიექტების ნაკლებობას. ისიც კი თქვეს, სოფელში ავაშენეთ ორსართულიანი საავადმყოფო, რომელიც გაგვიუქმეს, და ახლა სოფელში ექიმი არ გვყავსო.

მოხისელებმა სამართლიანად შენიშნეს, რომ რაიონული ცენტრიდან სოფლამდე არ დადის ავტობუსი, არ მუშაობს რადიო (გადასახადს კი იხდიან). კაცს გავლა გაუჭირდება სოფელში მისასვლელად და საუბნო გზებზე. თუმცა გზების შესახებ თვითონ მოხისელებსაც უნდა ეფსაყვედურონ. არავის უნდა იზრუნოს იმაზე, რომ წყალს, რომელიც გზაზე მოედინება და ეზიანებს მას. ერთ-ერთ მხარეზე მისცეს გზა.

მოხისზე და მოხისელებზე, კოლმეურნეობის გამგეობის წევრებზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ყოველივე გასაგები იქნება, თუ ვიტყვით, რომ კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამგეობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. მომხსენებელი ალბათ ამას ერიდებოდა და ამიტომაც მოხსენება მეტად ლაიალური წარმოდგენა. მას ერთგვარად შერბილებული ტონი ჰქონდა. არ დაასახელა კოლწევრები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივ შრომას და სოფლის მიწაწყლით კი სარგებლობენ, აგრეფვე ნაკლებად იყო ახსნილი, ან სულ არ ახსნეს კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები. მომხსენებელმა არც ის აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში კოლმეურნეობის მესვეურები როგორ იბრძოდნენ იმისათვის, რომ აღმოეფხვრათ ის ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც არღვევდნენ შრომის დისციპლინას და საკოლმეურნეო საერთო ცხოვრების პრინციპებს, როგორ ებრძოდნენ ისინი საზოგადოებრივი შრომისა და ცხოვრებისადმი შექმნილ გულგრილობას? მაგრამ, როგორც იტყვიან: კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო.

კრებამ აირჩია გამგეობის ახალი წევრები, ხოლო თავმჯდომარედ — ქართლოს ედილაშვილი.

ახლად არჩეულ გამგეობას და სარევიზიო კომისიას ადგა მინები დაუსახა ღონისძიებამ, რომელიც ერთხმად მიიღო საერთო კრებამ.

ქარელის რაიონის მოხისის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ცხაკაიამ. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პარტიის ქარელის რაიკომის პირველი მდივანი შ. მახარობლიძე და ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე კ. შუბითიძე.

**რ. ბასილაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

# ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐ ᲓᲠᲝᲖᲔᲖᲔ

**სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის საგეგმო ორგანოების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესია**

□

ამ ... ... ...

# მსოფლიოს ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის

**ბევრი ქვეყნის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადების ცერემონიას, რომელიც გუშინ გაიმართა მოსკოვში, და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის სიტყვას, რომელიც ხელმოწერის დროს წარმოთქვა.**

**ჩეხოსლოვაკიის** პრესა წერს, რომ ზღვებისა და ოკეანეების ფსკერსა და მის წიაღში ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის ხელშეკრულების ხელმოწერა მოსკოვში, გაშინგტონსა და ლონდონში შემდგომი დიდმნიშვნელოვანი წვლილია დედამიწაზე უშიშროებისა და მშვიდობის საქმეში.

**„რუდე პრავო“** და ჩეხოსლოვაკიის სხვა გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დიდ დამსახურებას გამლებული შეიარაღების წინააღმდეგ, ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვისათვის, განიარაღების სხვა საკითხთა გადაწყვეტისათვის დაუცხრომელ ბრძოლაში.

**უნგრეთის** ცენტრალური გაზეთები **„მადიარ ხირლაპი“** და **„მადიარ ნემზეთი“** ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულება ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას. პრესა ხაზს უსვამს აკრეთვე ა. ნ. კოსიგინის სიტყვებს, რომ ხელშეკრულება პირველი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ზღვის ფსკერის სრული დემილიტარიზაციის გზაზე. **„ნოიეს დოიჩლანდი“** აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს „საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლაში“.

**იტალიის** საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ იტალიის ელჩებმა მოსკოვში, ლონდონსა და ვაშინგტონში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება, აღნიშნულია იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, ახალი ეტაპია შეიარაღების შეზღუდვის გზაზე და ხელს შეუწყობს შემდგომ ღონისძიებათა განხორციელებას.

**იაპონიის** პრესა აღნიშნავს, რომ მოსკოვში ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მსოფლიოს 40 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. **„სანკეი სიმბუნი“** წერს: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოთა მხარე მიესალმებოდა შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის დარგში, და ამით კვლავ ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის აქტიურ პოზიციას ატომური შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკების მიმართ.

**დეკეშები** ხელშეკრულების დადების შესახებ დღეს პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს ამერიკის წამყვანმა გაზეთებმა. **„ვაშინგტონ პოსტი“** ცნობაში ხელშეკრულების დადების შესახებ აღნიშნავს, რომ ეს არის „სხვა იმ საერთაშორისო შეთანხმებათა სერიის გაგრძელება, რომლებიც ზღუდავენ, ატომური იარაღის გავრცელებას“.

(საკდესი, 12 თებერვალი).

## ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

### შეიარაღებული შეტაკებანი

**12 თებერვალი.** (საკდესი). იორდანიის დედაქალაქში მოხდა იორდანიის არმიის ქვეგანაყოფებსა და პალესტინის მილიციის რაზმების შეიარაღებული შეტაკება, რომლის შედეგად არიან დახოცილნი და დაჭრილნი.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა იორდანიის ხელისუფალთ დააკისრა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ოპერაციის განხორციელების დროს გამოიყენეს ტანკები და არტილერია პალესტინის მილიციის რაზმების წინააღმდეგ.

მეორე მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგ ე ნ ლ ი ს დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ რაიონში იორდანიის ჯარების მიერ განხორციელებული აქცია მიზნად ისახავდა ვითარების არასასურველი განვითარების აღკვეთას.

## ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

### გულისწყრომა, მწუხარება

**12 თებერვალი.** (საკდესი). მელფასტის მცხოვრებნი გაბრაზებულნენ ქალაქის ქუჩებში, რათა მონაწილეობა მიეღოთ დენიზა დიქსონის, ექვსი წლის გოგონას დაპრძალვაში, რომელიც ინგლისის ჯაშუშანტრანსპორტიორმა გასრესა.

კუბოს მიჰყვებოდა ასობით ადამიანი, კათოლიკე და პროტესტანტი. უამრავი ხალხი იდგა სამგლოვიარო პროცესიის მთელ გზაზე. როგორც კათოლიკეთა, ისე პროტესტანტთა რაიონებში გლოვის ნიშნად ფარჭერები ჩამოფარებული იყო.

დენიზა დიქსონის დაკრძალვა გადაიქცა ოლსტერის უნიონისტური მთავრობის პოლიტიკისა და ინგლისის ჯარების მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის დემონსტრაციად.

თითქმის ერთდროულად ქალაქის ქუჩებში გაიარა კიდევ ერთმა პროცესიამ — საბავშვო ეტლებით ქუჩაში გამოსულმა ირლანდიელმა ქალებმა. დემონსტრაცია მოაწყეს ინგლისელ ჯარისკაცთა თვითნებობის წინააღმდეგ. მათ ინგლისის ჯარების შტაბის წარმომადგენლებს გადასცეს მოთხოვნა ბრიტანეთის მთელი ჯარების გაყვანის შესახებ ოლსტერიდან.

ამასობაში კი ჩრდილოეთ ირლანდიაში ჩადიან ინგლისის ჯარების სულ ახალი და ახალი კონტინგენტები — მე-16 საპარაშუტო პოლკის ქვეგანაყოფები. ეს უკვე მესამედ მოუვიდათ ბრიტანეთის ჯარებს მაშველი ძალები უკანასკნელი კვირის მანძილზე.

## ᲙᲐᲠᲘᲚᲘ

### ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲣᲡᲮᲘ

*ინდოეთი*

**ზ ა მ თ ა რ ი** ინდოეთში ჩვეულებრივ ადრე თავდება ხოლმე. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ჩრდილოელთათვის აქაური სიცივეები ერთობ პირობითი ცნებაა, რადგან უმეტეს რაიონებში ტემპერატურა ნოლ გრადუსს ქვემოთ არც კი ეცემა. უკვე იანვრის უკანასკნელ დეკადაში მზე ჰაერს 26-30 გრადუსამდე ათბობს. ასეა დელში. თებერვლის დასაწყისში ინდოეთის ჩრდილოეთის რაიონების მცხოვრებნი ეგებებიან გაზაფხულის დღესასწაულს — „ბასანტ პანჩამის“. ქალები ამ დღეს აყვავებული ბაღების ფერის კაბებს იცვამენ.

მაგრამ მიმდინარე წელს ამინდის ვირვეულობამ წქლიწადის დროთა შესახებ ყოველგვარი წარმოდგენები დაარღვია. ჰიმალაიდან შემოვრილმა ცივი ჰაერის მკვეთრმა ნაკადებმა იანვრის შუა რიცხვებში სწრაფი აცივება გამოიწვიეს ინდოეთის ჩრდილოეთ რაიონებში. სიცივე ორ კვირაზე მეტს ბატონობდა და მრავალი უბედურება მოიტანა.

ჰიმალაების მთისპირეთში ცნობილი სამთო კურორტების სიმლას, კასაულის, ნაინიტალის რაონებში განუწყვეტლივ თოვდა და წვიმდა. უტარ-პრადეშის, ბიხარისა და ჩრდილოეთის სხვა შტატების ვრცელ ტერიტორიებზე ამ ადგილებისათვის უჩვეულო სიცივეები იდგა. ღამით ტემპერატურა ნულ გრადუსამდე ეცემოდა. უამინდობისაგან განსაკუთრებით მოსახლეობის ღარიბი ფენები დაზარალდნენ. მთელი რიგი ქალაქების მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილებით, ღატაკთათვის რომლებსაც არ გააჩნიათ თბილი ტანსაცმელი, ქუჩებში კოცონებს ანთებდნენ.

სიცივისაგან უტარ-პრადეშში თორმეტი კაცი დაიღუპა, ბიხარში — ასზე მეტი.

(საკდესი).

ამერიკელი აგრესორები აძლიერებენ სამხედრო ავანტიურას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მათ უკვე გაავრცელეს ომის ხანძარი ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სხვა ქვეყნებში — სამხრეთ ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში. (გაზეთებიდან).

ᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲘᲗᲑᲝᲑᲡ...

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

### მიტოვებული ქალაქები

**ვაშინგტონი,** 11 თებერვალი. (საკდესი). ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიმჩნევა თეთრკანიანი ამერიკელების მასობრივი გადასახლება ქალაქების ცენტრალური რაიონებიდან გარეუბნებში. ეს უწინარეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ თეთრკანიანებს, რომლებსაც ბავშვობიდან ჩანერგილი აქვთ რასობრივი სულისკვეთება, არ სურთ „იცხოვრონ ზანგების მეზობლად“, რომლებიც საშუშაოს საშოვნელად ქალაქებს ეტანებიან.

ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, 1960-1970 წლებში ქვეყნის ძირითადი ქალაქების თეთრკანიანი მოსახლეობა თითქმის 2 მილიონით შემცირდა. ვაშინგტონში თეთრკანიან მცხოვრებთა გადასახლების შედეგად მოსახლეობის რიცხვი შემცირდა 39,4 პროცენტით, ნიუ-იორკში — 9,3 პროცენტით, კლივლენდში — 26,5 პროცენტით, დეტროიტში — 29,2 პროცენტით, ჩიკაგოში — 18,6 პროცენტით.

## Უ ᲢᲐᲙᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 12 თებერვალი. (საკდესი). ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულება ავსებს „დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო“ ხელშეკრულებათა სიას, რომლებიც განიარაღების დარგში დაიდო“, ნაზგასმით აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა.

ხელშეკრულება გარანტიას იძლევა, აღნიშნა უ ტანმა, რომ ზღვებისა და ოკეანეების ფსკერი „გამოყენებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით“, რაც ხელს შეუწყობს განიარაღებას და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

## ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ

**ვაშინგტონი, 12 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ.**

ხელმოწერის ცერემონიას დაესწრნენ პრეზიდენტი ნიქსონი, ამერიკის მთავრობის წევრები, ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლები.

ვაშინგტონში ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 62 ქვეყნის ელჩებმა. საბჭოთა მთავრობის სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა.

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე სიტყვები წარმოთქვეს პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა და სახელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა.

**ლონდონი, 12 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ.**

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ინგლისში აკრედიტებული 36 ქვეყნის ელჩებმა. საბჭოთა მთავრობის სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში მ. ნ. სმირნოვსკიმ.

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიას დაესწრო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ე. ჰიტი.

## ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

*ვაშინგტონი*

**12 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის ჯარები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ აგრესიაში ლაოსის წინააღმდეგ. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელსაც უსაუბრია ამერიკელ ჯარისკაცებთან, იტყობინება, რომ ამერიკის ქვეგანაყოფები უშუალოდ მონაწილეობენ სამარ მოქმედებაში ლაოსის ტერიტორიაზე.**

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ლაოსში აწარმოებს ფართო სადაზვერვო ოპერაციებსაც, რომლებშიც მონაწილეობენ „მწვანე ბერეტების“ სახელწოდებით ცნობილი სპეციალური ჯარები.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი ამტკიცებდა, „ლაოსში არ არის ამერიკული ჯარები“. მაგრამ „სი-ბი-ეს“ რადიოსატელევიზო კომპანიამ ახალი ამბების პროგრამაში ტელემაყურებლებს უჩვენა კადრები, რომლებიც უარყოფენ ამ განცხადებებს.

კამერის ობიექტივში ჩანს, როგორ ეშვება ვერტმფრინავი ამერიკის შეერთებული შტატების საცნობო ნიშნებით. ვერტმფრინავიდან გამოდიან შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც ბაშაშვინე იმალებიან ჯუნგლებში. კომენტატორი აცხადებს, რომ კადრები გადაღებულია ლაოსის ტერიტორიის სიღრმეში, საზღვრიდან 20 მილზე.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაკლოსკიმ აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახლა ლაოსში აწარმოებენ უფრო ფართო საჰაერო ომს, ვიდრე კამბოჯაში. მიღებული მონაცემებით, ლაოსში მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების 300-ზე მეტი ვერტმფრინავი, რომლებიც ტაქტიკურ მხარდაჭერას უწევენ სახმელეთო ჯარებს. „ფ-4“ ტიპის თვითმფრინავები დღეში აწყობენ 300-ზე მეტ თვითმფრინავ-გაფრენას. გარდა ამისა, „ბ-52“ სტრატეგიული ბომბდამშენები ტაილანდში განლაგებული აეროდრომებიდან აზორციელებენ თანიცენტრალური ბომბდამშენები ტაილანდში განლაგებული აეროდრომებიდან.

ᲝᲢᲙᲕᲔ

## ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ

**12 თებერვალი. (საკდესი). დამთავრდა მეექვსე ფედერალურ-პროვინციული კონსტიტუციური კონფერენცია. კანადის პრემიერ-მინისტრმა პ. ტრიუდომ და ათი პროვინციის მთავრობათა პრემიერებმა პრინციპულად შეთანხმეს ფორმულა, რომელიც შესაძლებელს გახდის კანადაში მოქმედი კონსტიტუცია გასცდეს ინგლისის პარლამენტის იურისდიქციას და გადაიქცეს წმინდა კანადის კონსტიტუციად.**

104 წელია კანადის კონსტიტუციას წარმოადგენს „აქტი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის შესახებ“, რომელიც დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო 1867 წელს, ამ კონსტიტუციაში რაიმე ცვლილებათა შესატანად კანადამ უნდა მიიღოს ინგლისის პარლამენტის თანხმობა.

კონსტიტუცია რომ არ ექვემდებარებოდეს ინგლისის იურისდიქციას, კანადის ფედერალური პარლამენტის ორივე პალატამ და კანადის ყველა პროვინციის პარლამენტებმა უნდა მოიწონონ ასეთი რეზოლუცია, ხოლო ინგლისის პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი იმის შესახებ, რომ კანადა ცნობს თავისი კონსტიტუციის უფლებას.

კონფერენციის მონაწილენი პრინციპულად შეთანხმდნენ, რომ მომქმედ კონსტიტუციაში შეიტანენ დებულებებს, რომლებიც ეხება ძირითად მოქალაქეობრივ უფლებებს, ინგლისური და ფრანგული ენების კანადის ოფიციალურ ენებად გამოცხადებას, აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ კონსტიტუციიდან ამოიღებენ მთელ რიგ მოძველებულ დებულებებს.

ᲩᲘᲙᲐᲒᲝ

## ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ — ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐᲖᲔ

**ილინოისის შტატის ქალაქ აშკუმის ახლოს რკინიგზის გასწვრივ მცხოვრები 600 კაცი იძულებული გახდა სასწრაფოდ დაეტოვებინათ თავიანთი სახლები. ასეთი სასწრაფო ევაკუაციის მიზეზი გახდა საწვავითა და ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული საბარგო მატარებლის ავარია.**

22 ვაგონი, მათ შორის საწვავი ნივთიერებებით დატვირთული რამდენიმე ცისტერნა, რელსებს ასცდა. საწვავი სითხის გადინების შედეგად გაჩნდა ხანძარი.

შემთხვევის ადგილზე გამოვიდნენ მეხანძრეები, რომლებიც ექვს საათზე მეტ ხანს ამაოდ ცდილობდნენ ცეცხლის ჩაქრობას. მეხანძრეებს ცეცხლის ჩაქრობაში ხელი შეუშალა იმ ამბავმა, რომ საწვავი ნივთიერებებით სავსე რამდენიმე ცისტერნა შეიძლება აფეთქებულიყო. შემთხვევის ადგილას ხანძრის შედეგად წარმოშობილი შავი კვამლი, როგორც პოლიციამ განაცხადა, შხამიანი აღმოჩნდა.

მოსახლეობის მოწამვლის თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებმა სასწრაფოდ გახიზნეს მცხოვრებნი რკინიგზის კატასტროფის რაიონიდან. (საკდესი).

## ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲡ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ

# უცნაური გაკვეთილები

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲢᲠᲘᲣᲜᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**ᲔᲒᲔᲪᲔᲑᲘᲗ,** მათი ერთმანეთისაგან გარჩევა მხოლოდ დაკვირვებულ თვალს თუ შეეძლო. ფაკირები ყველანი ულვაშებიანნი და ერთნაირ სამოსში გამოწყობილნი იყვნენ. ყოველთვის ერთდაიმავე ადგილას ჯდებოდნენ— სასტუმრო „კლარკსის“ ბაღის კუთხეში. აქ, ბენარესის უძვირფასეს სასტუმროში მდიდარი ტურისტები, უმეტესად ამერიკელები მოდიოდნენ. შემლოცავი — ფაკირები მოხდენილად აწყობდნენ თავიანთ ინვენტარს და ათი რუპიის საფასურად სალამურს იმარჯვებდნენ, რათა დაწნული კალათებიდან თავიანთი მრისხანე აღზრდილები გამოეტყუებინათ. აქ ყველაფერს ნახავდით სამეფო კობრას, რომლის კბენა თვალის დახამხამებაში კლავს ადამიანს, მახრჩობელას, ვისიც „ჩაუტება“ სიკვდილის გარანტიას იძლევა, თუმცა კობრასაგან განსხვავებით შედარებით უფრო მოგვიანებით.

მე ყველაზე თავდადებული მაყურებელი ვიყავი ფაკირთა ნომრებისა. ორიოდე დღის შემდეგ ამხანაგური დამოკიდებულება დავამყარე უმეტეს მათგანთან. როგორც ინდოელთა უმრავლესობა, ისინი ძალზე ყურადღებიანი აღმოჩნდნენ უცხოელის მიმართ, მაგრამ სრულიად ივიწყებდნენ ინგლისურს, როცა მათ ხელობაზე ჩამოვაგდებდი საუბარს.

ჩემს ტრიადაზე — „მე ვიცი, რომ სალამური არავითარ როლს არ ასრულებს შელოცვაში, იმიტომ რომ გველებს არ გააჩნიათ სასმენი აპარატი“, — პასუხად მხოლოდ ზრდილობიან ღიმილს ვიღებდი.

და მიუხედავად ამისა, მეცნიერული სიმართლე, რომელიც სტატიებიდან და პოპულარული გამოცემებიდან მქონდა შეთვისებული, უკან იხევდა ფაქტების წინაშე. ფაქტები კი შემდეგი იყო: როგორც კი ახსნილი ფაკირი კალათს, იქიდან ისარივით გამოვარდებოდა კობრა, რომლის დაღეული ხახა არავითარ ეჭვს არ იწვევდა მის მისწრაფებაში, და აი აქ ხდებოდა სასწაული. ფაკირი სალამურის დაკვრას იწყებდა. საკრავი გამოსცემდა წრიპინა გამყივან ხმას. რეპტილია წყნარდებოდა და საკრავზე ყინულის თვალებით მიშტერებული იწყებდა ჭანაობას, ამასთან მელოდიის ტაქტზე, იმ მელოდიისა, რომლის მოსმენა ზოოლოგების ერთიანი აზრით მას არ შეეძლო.

აქ რაღაც ტრიუკი იმალებოდა. თორმეტიოდე სეანსის ცქერის შემდეგ მაინც ვერაფერი აღმოვაჩინე. ფაკირების ზრდილობიანი ღიმილი და სალამურის გამყივანი ხმა უკვე ნერვებზე მოქმედებდნენ.

მაშინ გადავწყვიტე მეც მიმემართა ერთ-ერთ ასეთ ფაკირისადმი. ეს ადამიანი ინდოეთში ერთ-ერთ ცნობილ ადამიანად ითვლებოდა. ეს ადამიანი ინდოეთში ერთ-ერთ ცნობილ ადამიანად ითვლებოდა. ეს ადამიანი ინდოეთში ერთ-ერთ ცნობილ ადამიანად ითვლებოდა.

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲢᲠᲘᲣᲜᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲢᲠᲘᲣᲜᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ


# მსოფლიო ᲡᲐᲯᲐᲠᲝ

## ვახტანგ გორგასელი

**დიდი სამამულო ომის დროს იტალიელ პარტიზანებთან ერთად ფაშიზმის წინააღმდეგ გმირულად იბრძოდა ქართველი ვაჟკაცი ფორე მოსულიშვილი, რომელსაც სიკვდილშემდგომ მიენიჭა იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდება.**

**პოემამ ვახტანგ გორგასელმა სახელოვან მამულიშვილზე დაწერა ლექსების ციკლი „ფორე“. მკითხველს ვთავაზობთ ორ ლექსს ამ ციკლიდან.**

### მთელ სიცოცხლეს მირჩევნია

ვინ მაჩვენა, სურვილში ვის ედო ბრალი,
მშვენება მკლავს, მეგობარო, ახლაც მისი,
ვინეცია — ყველა ნატვრის დედოფალი,
ყველა სიზმრის დასაწყისი.
მომწონს, მომწონს, გაოცებას განა ვმალავ,
ეს ფერები სულში თვითონ იჭრებიან,
მაგრამ რა ვქნა, მაჩხაანში ერთი გავლა
მთელ სიცოცხლეს მირჩევნია.

### ფერრეს ფერიწლი ქმნებს

სიყვარულის ეშხი მწვავდა
სიყვარულით ნაფერები,
სიყვარულში ვიძინებდი,
სიყვარულში ვათენებდი.
სადაც ჩრდილი შემხვედრია
იქ გულიმზეც მინატრია,
ცხრა აკვანზე ვოცნებობდი
ცხადშიაც და სიზმარშიაც.
ცივგომბორის წყაროებთან
თუ ალაზნის ნაპირებთან,
მაჩხაანის მინდვრის იებს
ახსოვთ ჩემი დაპირება.
სიყვარულის ნაპერწკალი
ახლაც მკერდზე დამკაშკაშებს,
მაგრამ ვახ რომ ვერ მივუძღვი
მაყრიონის შავ-შავ რაშებს.
როცა ჩემი დანიშნული
ჩამოიცლის სოფლის გზაზე,
წიგნში ვარდი რომ დავტოვე,
აიღეთ და შესთავაზეთ.
თუ გაჩერდა, თუ იკითხა
მოსცლას რატომ ვაგვიანებ,
ნურას ეტყვით, სატრფოს მაინც
ნუღარ დამიდარდიანებთ.
ტკბილი სიტყვა შეაგებეთ,
დედის გულის გასაგონად.
სიყვარულის მონა ვიყავ,
სიყვარულის დავრჩი მონად.
სახლში გედგათ ცხრა აკვანი,
ცხრავე ცისკრის მნათობს ბგაჯდეს.
ერთი ქოშრიანი ბიჭი.
ჩემს სახელზე გამოზარდეთ.
სოფლის თავში მზეს ხვდებოდეს,
დილის სიოს მოჰყვეს მზისებრ,
ისეთი, რომ სოფელმა თქვას,
ცოცხალია ფორე ისევ.

# ლუჩიას ახალი სიცოცხლე

**„ლუჩია დი ლამერმურის“ ამჟამინდელი დადგმა და გაფორმება თბილისის სცენაზე არ გამოირჩევა ორიგინალობით, საკმაოდ საშუალო სპექტაკლი.**

თუ კი მასობრივი სცენები ხელმეორედ არის დასადგმელი, დღეისათვის ორკესტრი ბევრად უფრო უკეთ ჟღერს, ვიდრე წინა წლებში. საკმაოდ ტემპერამენტიანად მიჰყავს სპექტაკლი დირიჟორ თ. ჯაფარიძეს, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია დასახვეწი, დასახვეწია ნიუანსები. „ლუჩია დი ლამერმურის“ თბილისის საოპერო სცენაზე ძალზე კარგი სოლისტი-შემსრულებლები ჰყავს (ნ. ანდღულაძე, ნ. ტუღუში, შ. კიკნაძე, თ. მუშკუდიანი, ი. შუშანია). ისინი ნებისმიერ სცენაზე ასახელებენ ქართულ ვოკალურ ხელოვნებას. ბრწყინვალედ მღეროდა ჰაინრიხის პარტიას აწ განსვენებული ბათუ კრავეიშვილი. ქართველ ვოკალისტებს ამჟამად ამ ოპერაში შეემატა ისეთი შესანიშნავი მომღერალი, როგორიც ლამარა ჭყონიაა. **ამ დღეებში მან პირველად იმღერა ლუჩიას ურთულესი პარტია.**

ლუჩია წმინდა კოლორატურული პარტიაა, ლამარას ხმა კი უფრო სხვა იერისაა. მაგრამ მომღერალმა საკმაოდ ენერგიულად შეუტია ურთულეს კოლორატურულ პარტიებს და არც თუ უშედეგოდ, — როზინას, ჯილდას, ვიოლეტას დამაჯერებელი სახეები შექმნა. მე არ შევუდგები მომღერლის ტიტულების და წარმატებების ჩამოთვლას. ისინი საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ მისმა შრომისუნარიანობამ, რომელიც შეზავებული იყო ნიჭთან და ვოკალურ მონაცემებთან, პირველად თავისი ნამდვილი აღიარება პოვა საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ლამარა ჭყონიას მიერ შექმნილი ყოველი სახე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მომღერალი სრულყოფილად ფლობს ხმას, მშვენივრად გრძნობს მუსიკალურ ნიუანსებს, მისი შესრულება გამოირჩევა თავდაჯერილობით, აკადემიურობით. ყოველ როლში ის უშუალოა, სცენურია. „ჩიო-ჩიო-სანის“ შემდეგ ყველაზე რთული იყო ლუჩიას შესრულება. აქვე უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მომღერალი ნ. გელაშვილი, მიუხედავად დიდი მონდომებისა და კარგი ხმისა, მაინც შეუფერებელი პარტნორი იყო ლამარა ჭყონიასთვის ამ სპექტაკლში.

ისე როგორც ვერდი „აიდას“ I მოქმედებას იწყებს რადამესის ურთულესი არიით, დონიცეტიც ლუჩიას პირველ არიას I მოქმედებაში იწყებს ბრწყინვალე კოლორატურული ურთულესი პარტიით. ლუჩია-ლამარა ჭყონია ელის სერ ედგარს. ძირითად სატრფიალო ლეიტმოტივზე მსახიობი საკმაოდ თავდაჯერილად შემოტრიალდება და მოკრძალებით იწყებს სიმღერას, ის ერთბაშად არ ხსნის თავის შესაძლებლობებს, როდესაც არია კულმინაციას აღწევს, აქ მთლიანად ვლინდება მისი უნარი და ოსტატობა, ტემბრის რეგისტრების მონაცვლეობა, საკრავების იმიტაცია ეფექტურ სახეს ქმნის მომქმედი პირის ლირიკული განწყობილებისათვის. ოპერის დრამატურგიული ხაზის განვითარების შესაბამისად მოქმედება თანდათან გადაიზრდება ღრმა ტრაგედიად. ლირიკიდან დრამატიზმამდე, ტრფიალიდან — ტრაგედიამდე — ასეთია ის გზა, რომელიც კლასიკური დახვეწილობით, აკადემიურობით და ურთულესი ტექნიკური ოსტატობით უნდა განახორციელოს ლუჩიას შემსრულებელმა. II მოქმედებაში, ჟანრული-საკარნავალო სცენის ფონზე კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება მსახიობის მერი შექმნილი სახე.

დონიცეტი ტრადიციისამებრ ხშირად მიმართავს ხმის საკრავებთან იმიტაციას. ამ მხრივ „ლუჩია დი ლამერმურშიც“ ჭარბად არის იმიტაციური ტექნიკის გამოსავლინებელი პარტიები (ფლეიტასთან, არფასთან, ვიოლონჩელთან, კლარნეტთან). ლუჩიას პარტიის დაძლევისათვის. ურთულესი გამომსახველობითი საშუალებები თავმოყრილია მესამე მოქმედების პირველ სურათში. შეძრწუნებული რაიმონდი მხიარული კარნავალის მონაწილეებს ამცნობს საზარელ ამბავს: ლუჩიამ განგმირა მისი ხელის მაძიებელი ლორდი არტური და ფსიქიურად დაავადდა. ამ სცენას სჭირდება დიდი ტაქტი და ოსტატობა, საკმარისია ოდნავი გადაჭარბება, და კლასიკურობიდან პროვინციალიზმში გადაიჩეხები. ეს სცენა, შეიძლება ითქვას, მსახიობმა შესანიშნავად ჩაატარა. რთული ვარიაცია შერწყმული მსახიობის ოსტატობასთან, ბრწყინვალე შესრულება და თავდაჯერილობა, უაღრესად ეკონომიური მოძრაობა საკმაოდ შთამაგონებლად დაძლია ლამარა ჭყონიამ. ამ ურთულეს სცენაში მან შეძლო გამოვლინებინა მთელი თავისი უნარი. პირველიდან მესამე მოქმედებამდე მსახიობმა შეძლო სრული გარდასახვა და ნათელყო, რომ ქართულ ტრადიციულ სცენას შეემატა „ლუჩიას შემსრულებელი საუკეთესო მომღერალი და მსახიობი. რა ბუნებრივი და უშუალო იყო ლამარას თამაში! ამ ბუნებრივობის მიღმა კი ის შრომისმოყვარეობა, რომელიც ხშირად აკლიათ ჩვენი კარგი ხმის მფლობელ მომღერლებს.

ყოველი ახალი როლი, დაწყებული ქეთოთი და დამთავრებული ლუჩიათი, გამოირჩევა მსახიობის ინდივიდუალური თვითმყოფობით. დამოუკიდებელი, ახალი სახის შექმნა კი მხოლოდ გამოცდილებას და ახლის ძიებას შეუძლია. ლამარა ჭყონია ყოველთვის ეძებს თავისი უნარის გამოსავლინებელ საშუალებებს. ცხადია, ცალკეული ნაკლისაგან არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ დღეისათვის ლამარა ჭყონიას ენერგია, სწრაფვა, შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი სამაგალითოა თბილისის ოპერის მსახიობებისათვის. მომღერალსაც და თეატრსაც შეგვიძლია მივეულოცოთ ახალი შემოქმედებითი წარმატება.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲖᲔ:** ᲪᲔᲜᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚ „ᲚᲣᲩᲘᲐ ᲓᲘ ᲚᲐᲛᲔᲠᲛᲣᲠᲘᲓᲐᲜ“, ᲚᲣᲩᲘᲐ — ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲭᲧᲝᲜᲘᲐ, ᲔᲜᲠᲘᲙᲘ — ᲗᲝᲗᲐ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ,

ᲤᲝᲢᲝ Თ. ᲡᲘᲛᲘᲝᲜᲝᲕᲐᲡᲘ,

**ᲕᲐᲪᲐ ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲘᲐ,**
**მეცნიერების დოქტორი, ჰენდელის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი.**

# დაოსტატების გზაზე

### ახალგაზრდა პიანისტის კონცერტზე

**რუსთაველის** საკონცერტო დარბაზში გაიმართა მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტის **რუსუდან ხუნწარიას** კონცერტი (პროფესორ სტ. ნეიჰაუზის კლასი).

რუსუდანი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხვს ეკუთვნის (დამსახურებული პედაგოგის ლ. მგალობლიშვილის კლასი).

კონცერტის პროგრამა შედგენილი იყო მოცარტის, ბეთჰოვენის, შოპენის, რაველის, დებიუსის, თაქთაქიშვილის და მაჟავარიანის ნაწარმოებებისგან.

მიუხედავად სტილისტური მრავალფეროვნებისა, პიანისტმა გამოავლინა ერთი საერთო თვისება — მუსიკალობა.

ახალგაზრდა პიანისტი ახლა იმ პერიოდშია, როდესაც უკვე ეუფლება საშემსრულებლო ოსტატობის მაღალ საფეხურებს და ვირტუოზულად ფლობს მთელ რიგ ტექნიკურ მხარეებს.

კონცერტანტს აქვს უნარი ჩასწვდეს ნაწარმოების აზრს, და ეს განსაკუთრებით ეხება დიდ ფორმის ნაწარმოებებს, რაც შემსრულებლის სერიოზულობასა და ნიჭზე მეტყველებს.

ასევე დამახასიათებელია მისი დაკვრისათვის ბგერათა სიწმინდე და ემოციურობის ზომიერად განაწილება.

უაღრესად პოეტურ პიანისტს ვუსურვებდით მეტი ყურადღება მიაქციოს ნაწარმოების დრამატული მომენტების გახსნას.

მაღალკალორიული ობა, დახვეწილი გემოვნება და სიხალვე, შინაგანი დამაჯერებლობა — აი რა არის დამახასიათებელი ახალგაზრდა პიანისტის რუსუდან ხუნწარიას საშემსრულებლო შემოქმედებისათვის.

**ᲜᲣᲜᲣ ᲓᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**
ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲖᲔ: ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲣᲜᲬᲐᲠᲘᲐ.

# ᲒᲐᲜᲫᲘ

## ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი რუსი და უცხოელი მხატვრების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომელთაგან დღემდე მხოლოდ რამდენიმეა დადგენილი და ცნობილი. მაგალითად, ცნობილია ვლ. მაშკოვის (1792-1839 წწ) მიერ აკვარელით შესრულებული ალ. გრიბოედოვის პორტრეტი, დადგენილი ი. ენიკოლოფოვის მიერ („საბჭოთა ხელოვნება“, 1930 წ. № 10); ასევე ცნობილია მხატვარ დისენის მიერ პასტელით შესრულებული ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას ორი სხვადასხვა პორტრეტი, ლევან V დადიანისა და მისი მეუღლის, დავით დადიანის სურათების ფოტოპირები, რომლებიც საილუსტრაციოდ ჩართული იყო სხვადასხვა წიგნებში.

საყოველთაოდ ცნობილია ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი, რომლის ავტორია ცნობილი გერმანელი ფერმწერი ფრანც ქსაველრი ვინტერჰალტერი (1805-73 წწ). პორტრეტი შესრულებულია პარიზში, საიდანაც იგი ეკატერინემ სამეგრელოში გამოუგზავნა დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც მისგან ჩაბარებული ჰქონდა მამულის მზრუნველობა. დიმიტრი ყიფიანის ბარათში ეკატერინესადმი (1865 წ. 22 იანვარი) აღნიშნულია: „უძვირფასესო და უსასიყვარულესო დედოფალო! ამ დილას ერთი დიდი შეზვიული ქალაღი შემომიტანეს, გავშალე, ვნახე თქვენი პორტრეტი, გარწმუნებთ, რომ ჩემთვის უკეთეს ჯილდოს ვერას მოიგონებდით. შესდგა ამ პორტრეტისა და გულიდამ გადაყრა ყოვლის ჯაჭრისა და ჭმუნვისა ერთი იქნება და, რასაკვირველია, თვალიდან არ მოვიცილებ.

როგორც მე ამ თქვენს პორტრეტს ვუყურებ, არა მგონია ვინტერჰალტერი სტყუოდეს და ბარაქალა ემის ოსტატობას...“

ზუგდიდის მუზეუმის ფონდში აღმოჩნდა როგორც ცნობილი მხატვრების, ისე ნაკლებად ცნობილ პირთა ნამუშევრები, საკმაოდ არის უცნობი მხატვრების ნამუშევრებიც, რომლებიც დადგენას საჭიროებენ.

რუს მხატვრებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თ. ბუროვი (1846-1895 წწ). მის მიერ შესრულებული „გრიგოლ დადიანის პორტრეტი“ დიდი ოსტატობით არის დაწერილი და იგი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევართაგანია ამ მუზეუმში.

დ. ბოლოტოვის (დაიბ. 1837 წ.) „უცნობი გოგონა“ შესრულებულია 1875 წელს პასტელით, იგი მეტად ჰაეროვანია.

ერთ-ერთ ზღვის პეიზაჟს ხელს აწერს კლოსტერმანი, რომელსაც გადაუღია იგი აივაზოვსკიდან 1886 წელს. ჯონდაკოვის დამოწმებით („რუს მხატვართა ნუსხა“) კლოსტერმანი სწავლობდა პეტერბურგის აკადემიაში.

მუზეუმში აღმოჩნდა ცნობილი რუსი მხატვრის კ. მაკოვსკის (1839-1915 წწ) „ქალიშვილის პორტრეტი“. შესრულებულია გუაშით 1885 წელს. მუზეუმში ექსპონირებულია ცნობილი რუსი ფერმწერი-ანიმალისტის ნ. სვერჩკოვის (1817-1898) ტილო. ექვსცხენიანი კარეტით მიემგზავრება ალექსანდრე II- გენერალ-ადიუტანტ გრაფ ადლერბერგის თანხლებით. ცალკე ალბომში აღმოჩნდა ცნობილი რუსი მხატვრისა და ლითოგრაფის ვ. ტიმის (1820-1895 წწ) მიერ აკვარელით, ფანქრით და გუაშის მათეთრათი შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები. აქ არიან ქვეითები და ცხენოსანი სამხედრო პირები, რიგითი და მაღალი ჩინის წარმომადგენლები; ყველა ისინი წარმოდგენილი არიან ბუნების ფონზე. ცხადია ეს ტიპაჟები შექმნილია კავკასიაში. ერთი სურათი გამოირჩევა ამ სამხედრო პირთა გალერიიდან. ეს არის მდიდრულად მორთული ჭაბუკი ცხენოსანი, ხელში მიმინოთი მინდვრად გამოსული. სურათს უკანა გეგრდზე მიწერილი აქვს „იბრაგიმ ხანი ჯიგუტანელი“. ყველა სურათს აქვს ავტორის ხელწერა და დათარიღებულია 1851 წლით. როგორც ცნობილია, ვ. ტიმი მთელი წელი ცხოვრობდა საქართველოში. სხვა ნამუშევრებიდან დავასახელებთ ი. ტურგენევის ცნობილი პორტრეტის ავტორის ა. ხარლამოვის (1842-1922 წწ) „ალექსანდრე II-ის პორტრეტს“, პ. რიეიკოვის (1858-1910 წწ) „უცნობი ქალის პორტრეტს“, რომელიც გადაუღია მას ნ. კრამსკოის ცნობილი ნამუშევრიდან და სხვ.

უცხოელი მხატვრებიდან დადგენილ იქნა გერმანელი ფერმწერი და ლითოგრაფი ფრიდრიხ ფრიში (1813-1886 წწ). მისი უზარმაზარი ტილოები ასახავს ალექსანდრე II-ის მოგზაურობას კავკასიაში, თბილისში.

მისი თანამემამულის ფრანც კრიუგერის (1797-1857) მიერ 1851 წელს შესრულებული შვიდი გრაფიკული პორტრეტი (აკვარელი, ცარცი, გუაში) მუზეუმის ფონდებში აღმოვაჩინე ჯერ კიდევ 1961 წელს და ვრცელი სტატია ამ ნამუშევრებისა ფოტოპირებთან ერთად გადავუგზავნე ბერლინის ეროვნულ გალერიას, სადაც ისინი გამოფენილ იქნა ცალკე ვიტრინაში.

ფაქიზი გემოვნებითა და დახვეწილი ტექნიკური მანერით გამოირჩევა ფრანგი მხატვრის ემილ ფრანსუა დესენის (1808-1882 წწ) პასტელით შესრულებული ნამუშევრები: „ლევან V დადიანი“ (გორდი, 1815 წ), „დავით დადიანი“ (გორდი 1851 წ), „ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას პორტრეტები (თბილისი, 1851 წ.), „მარიამ ზურაბის ასული წერეთელი“ (ლევანის მეუღლე), „აუბი ლევანის ასული დადიანი“, „ზაქარია ჭყონდიდელი“ (გორდი, 1851 წ) და სხვ.

მუზეუმის ყველაზე დიდი შენაძენია ფრანგი მხატვრის პიერ ბლანშარის გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც ოცზე მეტია. მხატვარს დიდი გულისხმიერებით აქვს გადმოცემული ტიპაჟები, მათი ჩაცმულობა, იერი, ნათელი ფერებით, თბილი ტონებით აქვს ამღერებული კავკასიონის ბუნება, თბილისის, თვალწარმტაცი საქართველოს სამხედრო გზის ხედები. ასეთებია: „შემახი“ (1856 წ.), „კავკასიონის მთები“ (1856 წ), „ბაქო“, „დერბენტი“, „მეფისნაცვლის სასახლე თბილისში“ (1856 წ), „კობი“ (1857 წ), „ანანური“ (პეტერბურგი, 1857 წ), „დარიალის ხეობა“ (1857 წ), „გასასვლელი დარიალის ხეობაში“ (1857 წ), „მცხეთა-სვეტიცხოველი“ (1857 წ), „ყაზბეგი“ (პეტერბურგი, 1857 წ), „თბილისის ხედი“ (თბილისი, 1857 წ), „ძველი თბილისის ხედი, ავლაბრიდან“ (პეტერბურგი, 1857 წ), „მდინარეზე გადასვლა“ (თბილისი, 1857 წ), „მოგზაურობა ბაქოსაკენ“ (პეტერბურგი, 1858 წ), „მეჩეთი დერბენტში“ (პეტერბურგი, 1858 წ) და სხვ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზუგდიდის მუზეუმში საკმაო კოლექციაა გრავიურებისა. აქ არის რაფაელის „სიქსტეს მადონა“ (გრავიურა იენაციო პოვონისა), „მადონა სავარძელში“ (სამუელ ჯენი) და „ღვთისმშობლის დაწინდვა“ (მ. ბრანდმიულერი), გვიდო რენის „მადონა ტახტზე და წმინდანები“ (ხ. შულერი), ტიციანის „კეისრის დინარი“ (ფრ. პანფშტენგლი), ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობა“ (იენაციო პოვონი), ანტონიო კორეჯის „წმიდა ღამე“ (ანტონიო ცეკინო), ბარბიერის (გვერჩინოდ წოდებული) „აგარის განდევნა“ (სამუელ ჯენი) და სხვ. არის აგრეთვე ფოტოგრავიურები: ვ. ოჩარდსონის „ნაპოლეონი გეგმ „ბელეროფონის ბაქანზე“ (ამ გემით გაამგზავრეს იგი წმ. ელენეს კუნძულზე გადასასლებაში), კრატკეს „ნაპოლეონი წმიდა ელენეს კუნძულზე“, ა. გოუს „ვატერლოოს შემდეგ“ („ვისაც შეგიძლიათ თავს უშველეთ“) და მრავალი სხვ.

სამეგრელოს მთავართა და მათი ოჯახის წევრების პორტრეტები მზადდებოდა დაკვეთებით იმ დროისათვის ცნობილი მხატვრების მიერ.

ზემოთ აღნიშნული ფრაგმენტი, სვერჩკოვის, ტიმის, ბლანშარის, კრიუგერისა და სხვა მხატვრების ნამუშევრები, როგორც ჩანს, უნდა ჩამოტანა სამეგრელოში პეტერბურგიდან დვეთ დადიანის უფროს ვაჟს ნიკო დადიანს მას შემდეგ, რაც მას უარი ათქმევინეს სამთავრო ტახტზე. ამ უკანასკნელმა ცოლად შეირთო ალექსანდრე II-ის კარის მინისტრის, გრაფ ადლერბერგის ასული და კიდევ უფრო მტკიცე კავშირი შექმნა სამეგრელოს სამთავროსა და რუსეთის საიმპერატორო კარს შორის.

რაც შეეხება გრავიურების მდიდარ კოლექციას, იგი ჩამოტანილია საფრანგეთიდან სამეგრელოში ნაპოლეონ ბონაპარტის სიძის, კავალერიის მარშალ იოახიმ მიურატის შვილიშვილის პრინც აშილ მიურატის მიერ, რომელმაც პარიზში ცოლად შეირთო ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილი სალომე და მასთან ერთად გადმოსახლდა და ცხოვრობდა სამეგრელოში.

**Ლ. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ,**
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ლ. ᲯᲐᲜᲨᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:** ᲖᲔᲛᲝᲗ — კ. ᲛᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ „ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ“; ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ — Პ. ᲑᲚᲐᲜᲨᲐᲠᲘᲡ „ᲐᲜᲐᲜᲣᲠᲘ“; ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ — Ვ. ᲢᲘᲛᲘᲡ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“.

## ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲕᲔᲕᲐ

# ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲔᲒᲠᲫᲝᲚᲜᲘ

**უგდიდი** ... **ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ**

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ** ᲬᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ **ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲣᲜᲬᲐᲠᲘᲐᲡ** ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ (ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲡᲢ. ᲜᲔᲘᲰᲐᲣᲖᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘ).

**ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ** ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ზ. ᲤᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲜᲒᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲣᲜᲬᲐᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲨᲘ.

**Დ. ᲑᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ** (ᲓᲐᲘᲑ. 1837 Წ.) „ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ“ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1875 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲐᲡᲢᲔᲚᲘᲗ, ᲘᲒᲘ ᲛᲘᲢᲚᲐᲓ ᲰᲐᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘᲐ.

**ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ** ᲖᲦᲕᲘᲡ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲙᲚᲝᲡᲢᲔᲠᲛᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲣᲜᲬᲐᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲨᲘ.

**Დ. ᲑᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ** (ᲓᲐᲘᲑ. 1837 Წ.) „ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ“ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1875 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲐᲡᲢᲔᲚᲘᲗ, ᲘᲒᲘ ᲛᲘᲢᲚᲐᲓ ᲰᲐᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘᲐ.

**ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ** ᲖᲦᲕᲘᲡ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲙᲚᲝᲡᲢᲔᲠᲛᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲣᲜᲬᲐᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲨᲘ.



# ᲓᲐᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

### ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ

**ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲣᲜᲬᲐᲠᲘᲐᲡ** ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲡᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐᲡᲢᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ.





# ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲐᲘᲦᲔᲡ

### ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ — „ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ“

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ** წითელ მოედანზე მარტში შედგება საკავშირო სათხილამურო ვარსკვლავისებრი ესტაფეტის ფინიში. იგი ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას.

ამ ღონისძიებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკის სასპორტო საზოგადოება „განთიადი“, რომელიც თავის მხრივ აწყობს მასობრივ ესტაფეტას დევიზით — „შრომასა და სპორტში“, იგი მიძღვნილია საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი.

ესტაფეტის მონაწილეებმა სტარტი 10 თებერვალს აიღეს ტყიბულში, ტყვარჩელში, ფოთში, მახარაძეში. რამდენიმე დღის განმავლობაში ესტაფეტა ეწევა დიდ სამრეწველო ქალაქებს — ქუთაისს, ზესტაფონს, გორს. აქვე ჩამოვა მოტოშრბოლთა დელეგაცია ჭიათურიდან.

16 თებერვალს ესტაფეტის მონაწილენი თბილისს ეწვევიან. საზეიმო ფინიში შედგება „განთიადის“ დარბაზში.

3 მარტიდან კი „განთიადის“ ესტაფეტის შეჯამებულ პატაკს საქართველოს პროფკავშირთა ნაკრები გუნდი წაიღებს ადლერში, რომელიც საკავშირო ვარსკვლავისებრი ესტაფეტის ერთ-ერთი ეტაპი იქნება.

## ᲓᲦᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

**თბილისის** „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ კალათბურთელ ვაუთა გ